28 (183) 28.07.2000. პარასკევის გამოშვება 30 თეთრი

# ფანტაზია 2000



# იაპონური პეპლები

| Column | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 3 | 4 | | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | 3 | 2 | 3 | 5 | | 5 | | | 2 | 3 | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | 9 | 6 | 5 | 4 | 4 | 18 | 6 | 5 | 5 | 2 | 8 | 3 | 3 | 2 | | | | | | | | | | | |
| | | | 3 | 6 | 4 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 5 | 5 | 8 | 5 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | | | | |
| | 3 | 6 | 6 | 8 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 4 | 15 | 11 | 9 | 6 | 3 | 3 | 2 | 3 | 3 | 2 | 3 | 3 | 2 | 2 | 6 | 5 | 4 | 1 |

| Row | | | |
|---|---|---|---|
| 1 | | | 7 |
| 2 | | | 9 |
| 3 | | 6 | 3 |
| 4 | | | 8 |
| 5 | | | 10 |
| 6 | 3 | 3 | 2 |
| 7 | 3 | 1 | 2 |
| 8 | 3 | 1 | 2 |
| 9 | 3 | 5 | 2 |
| 10 | 3 | 5 | 3 |
| 11 | 3 | 5 | 3 |
| 12 | 3 | 3 | 3 |
| 13 | 3 | 3 | 3 |
| 14 | 3 | 1 | 3 |
| 15 | | | 8 |
| 16 | | | 7 |
| 17 | | | 5 |
| 18 | | | 5 |
| 19 | | | 5 |
| 20 | | 4 | 1 |
| 21 | | 4 | 2 |
| 22 | | 12 | 5 |
| 23 | | 14 | 5 |
| 24 | | 16 | 5 |
| 25 | 5 | 9 | 4 |
| 26 | 4 | 13 | 3 |
| 27 | 5 | 6 | 10 |
| 28 | | 12 | 6 |
| 29 | | | 8 |
| 30 | | | 3 |

## და კიდევ:

**უნგრული კროსვორდი**
ესტრადის მოყვარულთათვის
(მე-2 გვ.)



**სუპერ კროსვორდი**
(მე-4-5 გვ.)



**აფორიზმების ანთოლოგია**
(მე-8 გვ.)



**სკანდინავიური კროსვორდები**
(მე-9-11 გვ.)



**1000 კურიოზი და კომბინირებული ფოტოხუმრობა**
(მე-16 გვ.)

**ჩვენი გაზეთის მკითხველთა საყურადღებოდ!**

„ფანტაზიის" სამშაბათის გამოშვება - „სკანდინავიური კროსვორდები" 1 აგვისტოდან გახდება 12 გვერდიანი და ეღირება 30 თეთრი

**დედა ტერეზა, ბერლინის კედელი, ლუი არმსტრონგი და „კოკა-კოლა" - აი, მთავარი სიმბოლოები მიმავალი საუკუნისა; ყოველ შემთხვევაში ასეთი შედეგები დაფიქსირდა ევროპელთა უმრავლესობის გამოკითხვის შემდეგ, რაშიც მონაწილეობდნენ გერმანიის, ესპანეთის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ნიდერლანდის და შვეციის მოქალაქენი (იხილეთ მე-13 გვერდი).**

**ანა** - პოეტები - კალანდაძე, ახმატოვა; ბესარიონ გაბაშვილის სატრფოს სახელი; ანა ავსტრიელი - XVII ს საფრანგ. დედოფალი; რუსეთის იმპერატრიცა XVIII ს.
**ანა** - 1) ქალაქი ერაყში. 2) მდინარე თურქეთში.
**ანაბა** - ქალაქი-პორტი ჩრდ.-აღმ. ალჟირში.
**ანაბანა** - იგივე ანბანი.
**ანაბაპტიზმი** - XVI ს გერმანიაში და სხვა ქვეყნებში რელიგიურ-სექტანტური მიმდინარეობა.
**ანაბაპტისტები** - „ხელმეორედ მონათლულნი" შუა სს სექტანტები ევროპაში.
**ანაბარი** - იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ ბანკში შესანახად შეტანილი ფული.
**ანაბარი** - მდინარე იაკუტიაში (რუსეთი).
**ანაბასი** - სამხრ.-აღმ. აზიის მტკნარი წყალსატევების თევზი.
**ანაბასისი** (ბერძნ. ალმასვლა) - ორი უძვ. თხზულების სახელი: 1) „კიროსის ანაბასისი" - ქსენოფონტე ათონელისა და 2) „ალექსანდრეს ანაბასისი" - არიანე ფლავიუსისა.
**ანაბეჭდი** - სალებავწასმული საბეჭდი ფორმიდან ქაღალდზე გადატანილი სასტამბო ტექსტო.
**ანაბიოზი** - სასიცოცხლო პროცესების დროებით დაქვეითება ან შეწყვეტა.
**ანაბოლია** - ზრდასრული ორგანიზმის ნიშანთვისებათა შეცვლა.
**ანაბოლიზმი** - ნივთიერებათა ცვლის პროცესთა ერთობლიობა ორგანიზმში უჯრედების შემადგენელი ნაწილების წარმოქმნით.
**ანაგა** - სოფელი სიღნაღის რ.
**ანაგალაქტიკური** - ჩვენი გალაქტიკის გარეთ არსებული ვარსკვლავთა სისტემები.
**ანაგენეზი** - ევოლუციური პროცესის ტიპი ბიოლოგიაში, ქსოვილთა რეგენერაციის პროცესი.
**ანაგვირილა** - ბალახოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა.
**ანაგისხევი** - პერიოდული მდინარე სიღნაღის რაიონში.
**ანაგლიფია** - მოცულობითი გამოსახულების მიღების პოლიგრაფიული ხერხი.
**ანაგრამა** - ასოების გადასმით ერთი სიტყვიდან მეორის მიღება.
**ანაგული** - მატყლის ანაჩეჩი (საბა).
**ანადიპლოზისი** - სტილისტ. ხერხი - ერთი წინადადების ბოლო სიტყვის გამეორება მეორე წინადადების თავში.
**ანადირი** - ქალაქი და მდინარე ჩუკოტკაში (რუსეთი)
**ანადოლუ** (თურქ. - ანატოლია) - თურქეთის საინფორმაციო სააგენტო.
**ანაერობები** - ორგანიზმები, რომელთაც ჟანგბადის გარეშე შეუძლიათ არსებობა.
**ანაერობიოზი** - სიცოცხლე თავისუფალი ჟანგბადის გარეშე.
**ანავასია** - წამალი რამეა მკურნალთა შორის, რომელთა იქონებენ და არღარა ეყნოსებათ სიმყრალე სნეულთანი (საბა).
**ანაზატი** - ძველ სომხეთში საზ. დაბალი ფენის წარმომადგენელი.
**ანაზდად** - უეცრად, მოულოდნელად.
**ანაზდეული** - უეცარი, მოულოდნელი.
**ანაზღაურება** - გაწეული შრომის ფულადი შეფასება.
**ანათემა** - ეკლესიის მიერ შეჩვენება, განკვეთა, დაწყევლა.
**ანაიზა** - ქალაქი საუდის არაბეთში.
**ანაკლია** - სოფელი ზუგდიდის რ.
**ანაკო** - ქალაქი ვენესუელაში.
**ანაკოლუთი** - სტილისტიკური ფიგურა, როცა სიტყვათა შორის დარღვეულია სწორი გრამატ. შეთანხმება.
**ანა კომნენე** - XII ს ბიზანტიელი მწერალი.
**ანაკონდა** - მახრჩობელასებრთა ოჯახის გველი.
**ანაკოფია** - ციხე-ქალაქი ძვ. საქართველში, ახლანდელი ახალი ათონის სიახლოვეს.
**ანაკრეონტი** - ძვ. წ. აღ. VI-V სს ბერძენი პოეტი.
**ანაკრუზა** - მოკლე ან უმახვილო მარცვლები ტაეპის დასაწყისში.
**ანალგეზია** - ტკივილის შეგრძნების დაკარგვა.
**ანალგეტიკები** - ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები.
**ანალგია** - იგივე ანალგეზია.
**ანალგინი** - ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო სამკურნალო პრეპარატი.
**ანალები** - საისტორიო თხზულებათა უძველესი სახე.
**ანალექტები** - ერთი ან რამდენიმე მწერლის რჩეული თხზულებები.
**ანალიზატორი** (ბიოლ) - ორგანიზმზე მოქმედი გაღიზიანების აღქმისა და ანალიზისთვის განკუთვნილი ანატომ.-ფიზიოლოგიური სისტემები.
**ანალიზი** - საგნის აზრობრივი დაშლა შემადგენელ ნაწილებად.
**ანალისტები** - ძველრომაელი ისტორიკოსები.
**ანალიტიკოსი** - ადამიანი, რომელსაც საკუთარ ქცევა-განცდათა ანალიზი სჩვევია.
**ანალოგი** - მსგავსი, იდენტური.
**ანალოგია** - საგან-მოვლენათა მსგავსება რაიმე მიმართებით ან თვისებით.
**ანალოე** - მართლმადიდ. ეკლესიაში მაგიდა, რომელზედაც საღვთო წიგნს დებენ ლოცვისას.
**ანალური** - ყითა ნაწლავთან დაკავშირებული.
**ანალციმი** - კარკასული სტრუქტურის მინერალი.
**ანამბასი** - არქიპელაგი სამხრ. ჩინეთის ზღვაში.
**ანამი** - ვიეტნამის ძველი სახელი.
**ანამიტები** - იგივე ვიეტნამელები.
**ანამნეზი** - გამოკითხვით შეკრებილი ინფორმაცია ავადმყოფის სნეულებათა პროცესებისა შესახებ.
**ანამნეზისი** - შემეცნების პროცესი პლატონის ფილოსოფიაში.
**ანამორფირება** - ობიექტის გამოსახულების კონფიგურაციის გარდაქმნა.
**ანამორფოზი** - დამახინჯებული სურათი, რომელიც სწორად გამოჩნდა გარკვეულ პირობებში.
**ანამური** - დასახლ. პუნქტი ხმელთაშუაზღვისპირა თურქეთში.
**ანანასი** - ტროპიკული ბალახოვანი მცენარე საკვები ნაყოფით.
**ანანდავარდჰანა** - IX ს ინდოელი ლიტერატურის თეორიტიკოსი.
**ანანდი** - 1) მულქ რაჯ - XX ს ინდოელი მწერალი; 2) ვიშვანანდ - ინდოელი მოჭადრაკე დიდოსტატი.
**ანანია** - XV ს ქართველი მხატვარი.
**ანანიაშვილი** ნინო - ბალერინა, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი.
**ანანიევი** ანატოლი - XX ს რუსი მწერალი.
**ანანკე** - 1) პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი. 2) აუცილებლობის ღმერთქალი.
**ანანური** - სოფელი და ისტ. ძეგლი დუშეთის რ
**ანაპა** - ქალაქი-კურორტი კრასნოდარის მხარეში (რუსეთი).
**ანაპესტი** - სამმარცვლიანი სალექსო ტერფი.
**ანაპლაზმა** - ცხოველთა სისხლის პარაზიტების გვარი რიკეტსიების რიგისა.
**ანაპლაზმოზი** - შინაური და გარეული ცხოველების დაავადება.
**ანაპოლისი** - ქალაქი ცენტრ. ბრაზილიაში.
**ანარა** - ქალაქი რეზო ესაძის ამავე სახელწოდების ფილმიდან.
**ანარდარა** - დასახლ. პუნქტი დას. ავღანეთში.
**ანარეკლი** - ზედაპირზე არეკლილი სხივი.
**ანარეკლი** - ქართული კინოფილმი.
**ანარია** - მდინარე ოჩამჩირის რ, სოფელი გალის რ
**ანარქია** - სრული უწესრიგობა, არეულობა
**ანარქიზმი** - სახელმწიფო ხელისუფლების უარმყოფელი პოლიტ. მიმდინარეობა.
**ანასეული** - სოფელი ოზურგეთის რ
**ანასპიდები** - ნამარხი უყბოების ქვეკლასი.
**ანასტასია** - ამერიკული ფილმი რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ქალიშვილზე.
**ანასტასიოსი** - ბიზანტიის იმპერატორი IV-V სს.
**ანასტიგმატი** - ფოტოგრაფიული ობიექტივის სახესხვაობა.
**ანასტომოზი** - სისხლძარღვების, ლიმფის სადინარების ან ნერვების შეერთება.
**ანატაზი** - პოლიმორფული მოდიფიკაციის მინერალი.
**ანატები** - ერთდროული გადასახადი კათოლიკურ ეკლესიაში.
**ანატექსისი** - დედამიწის ქერქის ქვედა ნაწილის გადნობის პროცესი.
**ანატკეცი** - კაჟის, ობსიდიანის ან სხვა ქანის ნუკლეუსიდან ადამიანის ხელით ატკეცილი ფირფიტა.
**ანატოლია** - თურქეთის აზიური ნაწილი.
**ანატომია** - ცოცხალი ორგანიზმის აგებულების შემსწავლელი მეცნიერება.
**ანატორისღელე** - უღელტეხილი დუშეთის რ
**ანატოქსინი** - ტოქსინის უვნებელი წარმოებული, რომელსაც დაკარგული აქვს შხამის თვისებები.
**ანაუ** - არქეოლოგიური ძეგლი აშხაბადის სიახლოვეს.
**ანაფაზა** - უჯრედის არაპირდაპირი გაყოფის მესამე სტადია.
**ანაფილაქსია** - პათოლოგიური პროცესი ორგანიზმში უცხო ცილის განმეორებითი შეყვანისას.
**ანაფორა** - 1. მღვდლის სამოსი. 2. სტილისტიკური ფიგურა პოეზიაში.
**ანაფრონტი** - მეტეოროლოგიაში: ატმოსფერული ფრონტი თბილი ჰაერის აღმავალი მოძრაობით.
**ანაქორეტი** - განდეგილი, მეუდაბნოე.
**ანაქრომატი** - ოპტიკური სისტემის სახესხვაობა.
**ანაქრონიზმი** - წლების ანგარიშისას დაშვებული შეცდომა ან დროთა აღრევა.
**ანაქსაგორა** - ძვ.წ.აღ. მე-5 ს ბერძენი ფილოსოფოსი.
**ანაქსიმანდრე** - ძვ. წ. აღ. მე-7-6 სს ბერძენი ფილოსოფოსი.
**ანაქსიმენე** - ძვ. წ. აღ. მე-6 ს ბერძენი ფილოსოფოსი.
**ანაშა** - ნარკოტიკული ნივთიერების ჟარგონული სახეი.
**ანაჩეჩი** - ბოჭკოვანი მასალის ჩეჩის დროს მორჩენილი ჭუჭყიანი მოკლე ბოჭკოები.
**ანახომსთა** - მდინარე გაგრის ტერიტორიაზე.
**ანაჰაიმი** - ქალაქი აშშ-ს კალიფორნიის შტატში.
**ანაჰიტა** - სიყვარულის და ნაყოფიერების ქალღმერთი მაზდეანურ რელიგიაში.

(2214)

Sაკროსვორდო ენციკლოპედიის გაგრძელება შეგიძლიათ იხილოთ „ფანტაზია 2000"-ის სამშაბათის, 1 აგვისტოს გამოშვება „სკანდინავიურ კროსვორდებში";

და ამიერიდან საკროსვორდო ენციკლოპედია გაგრძელებებით დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის როგორც პარასკევის ასევე სამშაბათის გამოშვებებში.

* * *

საკროსვორდო ენციკლოპედიის ბეჭდვის დაწყებამდე ჩვენ განვაცხადეთ, რომ ამ ნაშრომს არ აქვს არანაირი მეცნიერული დანიშნულება და მხოლოდ კროსვორდის მოყვარულთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაა გამიზნული, თუმცა გარკვეულწილად შეუძლია საცნობარო დანიშნულების შესრულებაც. ასე რომ, კრიტიკულ შენიშვნებს ჩვენ ყოველგვარი ამბიციების გარეშე აღვიქვამთ და სიამოვნებით მივიღებთ თქვენგან.

# (საბჭოთა) ესტრადის მოყვარულთათვის

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პ | ა | კ | ბ | უ | ლ | ბ | უ | ა | რ | ი | ა | ნ | ი | მ |
| ო | ი | ს | რ | კ | ო | ვ | ლ | ი | ა | ი | ს | ო | რ | ე |
| ნ | ა | ვ | ა | ი | რ | ი | ო | ნ | ი | ა | ნ | ი | ა | რ |
| ა | რ | ო | ხ | ვ | ი | ლ | დ | ს | ა | კ | ს | ნ | ე | პ |
| ე | ნ | ვ | ე | ე | მ | ი | კ | ე | პ | ბ | ე | ლ | დ | ს |
| მ | ი | გ | რ | რ | ბ | ა | ო | ა | რ | პ | ე | ჩ | ი | უ |
| ს | დ | ი | დ | ი | ა | ე | დ | გ | ა | | | | | |
| ე | ა | ი | წ | ი | ა | ვ | რ | ი | უ | | | | | |
| ნ | რ | თ | ე | თ | ე | ლ | ი | ა | რ | | | | | |
| ზ | გ | ნ | ნ | ო | ტ | ს | უ | ნ | ა | | | | | |
| ი | ბ | ი | ნ | ე | ლ | ე | რ | ო | ტ | | | | | |




**კროსვორდი რეკომენდირებულია უფროსი თაობის „საბჭოეთგამოვლილ" შემვსებთათვის.**

1. იხილეთ ფოტო №1 და გაიხსენეთ ამ ქალბატონის მშობლიური ქალაქი უკრაინაში.




2. იხილეთ ფოტო №2 და გაიხსენეთ ამ ქალბატონის მშობლიური საბჭოთა რესპუბლიკა.
3. იხილეთ ფოტო №3 და გახსენეთ ანსამბლი, სადაც ამ შესანიშნავმა მომღერალმა აიდგა ფეხი.




4. იხილეთ ფოტო №4 და გაიხსენეთ ამ მსახიობისა და მომღერლის მშობლიური ქალაქის ძველი სახელი.
5. იხილეთ ფოტო №5 და კროსვორდის ბადეში მოძებნეთ იმ პროფესიის სახელი, რამაც ამ მომღერალს ქონება და დიდება მოუტანა საბჭოთა პერიოდშიც კი.
6. იხილეთ ფოტო №6 და გაიხსენეთ საბჭოეთზე განაწყენებული ამ მომღერლის გვარი.




7. იხილეთ ფოტო №7 და გაიხსენეთ ამ ნამდვილად საბჭოელი მომღერლის გვარი.
8. ბელორუსიაში არსებობდა ანსამბლი, რომელიც ძალზედ პოპულარული იყო საბჭოეთში... ხომ არ გახსოვთ, რა ერქვა?
9. ჩვენი დიდებული მომღერალი, რომელიც საბჭოეთმა ჯერ ჯიდევ ბავშვობის ასაკში გაიცნო და შეიყვარა.




10. პოპულარული აზერბაიჯანელი მომღერალი, რომლის ხმა მის გვარს გარკვეულწილად ესადაგებოდა.
11. მოძმე ყაზეხეთმა საბჭოეთს მისცა ერთი მომღერალი ქალი, სახელად როზა... გვარი ხომ არ გახსოვთ?
12-13. მოძმე მოლდავეთმა კი ორი მომღერალი ქალი აჩუქა საბჭოთა მსმენელს... ეგებ ორივეს გვარი გაიხსენოთ და კროსვორდის ბადეში მოძებნოთ?




14. უკრაინიდან დღესაც ისმის ერთი უსაზღვროდ მშვენიერი და ნიჭიერი მომღერლის ხმა... თქვენ იგი, რა თქმა უნდა, გახსოვთ... უბრალოდ მისი გვარის მოძებნაა საჭირო.
15. იყო ერთი სომეხი მომღერალი, ასე მღეროდა - „გალისეს, გალისეს, დუ ინძ მოტ..." (და.ა.შ); ბარემ მისი გვარიც გავიხსენოთ.
16. მოძმე და შორეულმა ჩუქჩეთმა კი ერი სიმღერით გაგვაცნო თავისი ესტრადა (?!); ამ - `Увезу тебя я в тундру~- სიმღერას ასრულებდა კოლა....




17. საბჭოეთის ყველა დროისა და ეპოქის ყველაზე პოპულარული ქართული საესტრადო ანსამბლი.

# სტატისტიკური წიაღსვლები

## მისტერ ევრიჯის საქმეები და დღეები

ამერიკელებს ერთობ უცნაური ფანტაზია გააჩნიათ და ეს თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ ამ ქვეყანაში „არსებობს“ არარსებული მისტერ ევრიჯი, რომელიც საშუალო სტატისტიკური ამერიკელის სიმბოლური გამოსახულებაა; სწორედ მისი „ცხოვრებიდან“ გამომდინარე შექმნილია საკმაოდ საინტერესო ცხრილი, რომელიც ამერიკელთა ცხოვრების განრიგს გამოხატავს:

– მისტერ ევრიჯი საშუალოდ 75,6 წელს ცხოვრობს.

– იგი 33 წელიწადს ვერტიკალურ ან მოსიარულე მდგომარეობაში ატარებს.

– 25 წელი და 180 დღე ძილს ეთმობა.

– მისტერ ევრიჯი 17 წელი ზის.

– 6 წელს იგი ტელეეკრანთან ატარებს.

– საჭმლის მიღებას 6-7 წელი სჭირდება.

– საჭესთან ჯდომას 5 წელი ხმარდება.

– მისტერ ევრიჯი 1 წელი და 258 დღე იცინის.

– სამოსის გახდა - 1 წელი და 170 დღე.

– საჭმლის მომზადება - 1 წელი და 195 დღე.

– რიგში დგომა - 500 დღე.

– ავადმყოფობა - 1 წელი და 135 დღე.

– ნარგვარი ზეიმების აღნიშვნა - 1 წელი, 10 დღე.

– სატელეფონო საუბრები - 180 დღე.

– ტუალეტში ყოფნა - 159 დღე.

– სექსი - 110 დღე.

– ტირილი - 50 დღე.

– საათის შეხედვა – 3 დღე.

## ვინ რამდენს გამოიმუშავებს

გერმანიის პროფკავშირთა ფედრაციამ გამოაქვეყნა მორიგი ბიულეტენი, სადაც საუკუნის დასასრულს სხვადასხვა პროფესიის გერმანელთა საშუალო თვიური შემოსავალია გამოთვლილი ასაკისა და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით:

– **პატარა ქალაქის პოლიციის უფროსი**, 35 წლის, ორი შვილის მამა - 4323 მარკა.

– **მაღაზიის გამყიდველი ქალი**, 31 წლის, 6 წლის სტაჟის მქონე – 3232 მარკა.

– **ქალი-პედაგოგი**, გათხოვილი, 45 წლის, ერთი შვილის დედა - 6218 მარკა.

– **ექთანი**, გასათხოვარი, 25 წლის - 3125 მარკა.

– **ავტომექანიკოსი**, 27 წლის - 3467 მარკა.

– **მშენებელი ოსტატი**, 26 წლის, 2 წლის სტაჟის მქონე - 4495 მარკა.

– **დამხმარე მუშა** (მშენებლობაზე), - 3211 მარკა.

– **დამხმარე მუშა** (ვაჭრობაში) - 900 მარკა.

– **სახელმწიფო დაწესებულების მდივანი ქალი**, 32 წლის, 6 წლის სტაჟის მქონე – 3200-დან 4000-მდე.

– **ზეინკალი**, 34 წლის - 2943 მარკა.

– **საფინანსო დაწესებულების თანამშრომელი**, 49 წლის, სოლიდური სტაჟის მქონე, ერთი შვილის მამა, განქორწინებული - 5731 მარკა.

– **ქალი-პარიკმახერი**, 29 წლის - 2240 მარკა +მაღარიჩი.

– **სადაზღვევო სააგენტოს სტაჟიორი**, 21 წლის - 1495 მარკა.

– **პროფესორი, კათედრის გამგე**, 62 წლის, ცოლიანი - 10941 მარკა.

– **სახელმწიფო დაწესებულების დამლაგებელი ქალი**, 34 წლის - 2800 მარკა.

– **არქიტექტორი სახელმწიფო სამსახურში**, 6 წლის სტაჟის მქონე - 5500 მარკა.

– **მატარებლის გამცილებელი**, 26 წლის, მუშაობის პირველი წელი - 2888 მარკა.

– **ექიმის ასისტენტი**, 33 წლის, ერთშვილიანი - 6012.

(გაგრძელება მე-13 გვერდზე)




**რეიტინგი (მე-3 გვ.)** 1. ყველაზე დიდი კონტინენტი (3). 2. ფრანგი ფიზიკოსი, ბენუა პოლ ემილ.. (1799-1864) (10). 3. სიყვარულს შეწირული ქალბატონი ქართული ფოლკლორიდან (2). 4. კუნძულთა ჯგუფი პოლინეზიაში (წყნარი ოკეანე), რომელთაც სხვაგვარად „ზღვაოსანთა კუნძულებსაც“ უწოდებენ (8). 5. რაიმე გამქრალი მოვლენის ნაშთი, ნაკვალევი (6). 6. 60-იანი წწ ქართველი წყალბურთელი, სსრკ ნაკრების წევრი (7). 7. ქართული ისტორიული სახელი ჩრდილოეთ კავკასიის ველებისა (8). 8. საგნების გამოსახვა პერსპექტივაში, მაყურებლისაგან დაშორებული ნაწილების დაპატარავებით (8). 9. უსიცოცხლო სხეული (1). 10. საბჭოეთის მთავარი კოსმოდრომი (4). 11. მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე (2). 12. ცხიმიანი და ნოყიერი ანუ როგორი? (3). 13. ალპურ ზონაში მობინადრე გარეული თხა (3). 14. ამა თუ იმ ღონისძიების შემფასებელი ორგანო (3). 15. ყველაზე დიდი ქვეყნის ნაწილი (3). 16. „გულადი“ სუბიექტი მეზღაპრე ძმები გრიმების შემოქმედებიდან (6). 17. სიკვდილით დასასჯელი ამაღლებული ფიცარანგი (5). 18. მაყურებელთა დარმაზის შემადგენელი ნაწილი (3). 19. სომხური მუსიკის კლასიკოსის, არმენ ტიგრანიანის ოპერა (9). 20. ე.წ. ქვიჯა (ანუ რა) ძველთბილსელთა ენაზე? (6). 21. ღონისძიება, რომელიც მთელი მსოფლიოს სპორტსმენთა ორგანიზებას ემსახურება (2). 22. უზენაესი არსება (1). 23. რძის აჭრის ან ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი წყალწყალა სითხე (4). 24. წინასწარ გათვლილი გარკვეული არაკეთილმოსურნე ქმედება (4). 25. ბერძნული ანბანის ასო (4). 26. ნახევარსართული, რომელიც შენობის შიდა სევრცეშია ამოშენებული (5). 27. თეატრალური სანახაობის სახესხვაობა (4). 28. რუსი მწერალი, ავტორი სათავგადასავლო ეომანისა „ალისფერი აფრები“ (7). 29. ქსოვილი, რომლის ერთი პირი გაჟღენთილია წყალგაუვალი ნივთიერებით (5). 30. დაბა კახეთში, სარკინიგზო ცენტრი (2). 31. XX საუკუნის დასაწყისში მოსკოვში მოღვაწე კავკასიური წარმოშობის ცნობილი თეატრალური რეჟისორი (9). 32. უკანასკნელი დროის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი მამაკაცი (7). 33. ალბათ, ყველაზე პოპულარული ძველბერძენი ფილოსოფოსი მისი კომუნალური კაპრიზების გათვალისწინებით (4). 34. სიტყვა, რომლითაც ჩვენ გაერთიანებულ ქმედებას გამოვხატავთ (1). 35. დღეს ფართოდ რეკლამირებადი სარეცხი ფხვნილი (6). 36. მავანი ცნობილი ეფრემი ჩვენი ისტორიიდან (4). 37. სამეფო გვირგვინი მსგავსი სხივთა (საბა) (7). 38. კომპიუტერის ძირითადი შემადგენელი ნაწილი (7). 39. მონაცრისფრო, ბუსუსიანი, ფოთლებდანაკვთული სამკურნალო ბალახი (7). 40. 30-იანი წლების თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა არაქართველი მცველი (7).

**ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 210-ს შედაგენს.**
**პასუხები იხილეთ მე-14 გვერდზე.**

„ალო, ფანტაზიის“ ტურნირში გამარჯვებულებს ვთხოვთ დაგვიკავშირდნენ ორშაბათს 18-დან 20 საათამდე კუთვნილი თანხის მისაღებად



**თარაზულად:** 1. რა შეჭამა ხელჩოთი და წალდით „შეიარაღებულმა“ მელიამ ერთ ზღაპარში? 4. აქემენიდთა დინასტიის მხარგრძელი წარმომადგენელი. 9. განჯაში გარდაცვლილი ქართველი. 17. სიტყვა „დავრდომილის“ ერთ-ერთი სინონიმი ჩვენს ენაში. 18. ქალაქი სამხრეთ ინდოეთში. 19. „შოუ“ სულების გამოძახებით. 22. სახელმწიფო აზიაში. 23. ძველი რომაელი კონსული, ლუციუს კორნელიუს სულას მოწინააღმდეგე. 24. რა ჰქვია ლეგენდარული მეფე არტურის ხმალს. 28. ძველინდური დამწერლობა. 29. ვინ არის თამარ მეფე ნესტან-დარეჯანთან მიმართებაში? 30. ავტორი რომანისა „წითელი და შავი“. 34. საქართველოში მოღვაწე ცნობილი ბულგარელი კინორეჟისორი ქალი. 35. მექანიკის ნაწილი, შეისწავლის უძრავ სხეულებს და წონასწორობის პირობებს. 36. იცით ვინ არის დუაიტ იორკი? ძალიან კარგი, მაშინ აქ მისი ერთ-ერთი მშობლიური კუნძული ჩაწერეთ. 37. საქართველოს შავიზღვისპირა კურორტი. 42. საარჩევნო ფურცელი. 43. ორგანიზმის რეაქცია გამღიზიანებლის მიმართ. 44. ამ გვარის ცნობილი მათემატიკოსიც არსებობს, თუმცა ეს გვარი ყველამ დასტინ ჰოფმანის ერთ-ერთი ფილმიდან იცის... რა გვარი? 45. გაბატონებული გემოვნება (მოკლედ და კონკრეტულად!). 50. ავი სული. 51. ყველაზე პატარა ჩიტი, რაც დედამიწაზე არსებობს. 52. საკერავ მანქანასთან მჭიდროდ დაკავშირებული ვინმე ისააკის გვარი. 53. რა გვარია ასტრიდ ლინდგრენისეული კარლსონის მეგობარი ბიჭუნა სვანტე? 57. ფრანგი მწერალი-ეკზისტენციალისტი, ავტორი რომანისა „შავი ჭირი“. 58. ერთ-ერთი მაიმუნთაგანი. 59. პერსონაჟი ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირისა“. 60. ადამიანის ან ცხოველის ქანდაკება. 65. უყვავილო, სპოროვანი მცენარე. 66. სპორტსმენთა სამოსი. 67. მინერალური მარილ-ნახშირმჟავა წყალი, რომელსაც სახელი ერთმა გერმანულმა სოფელმა მისცა. 68. საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ქალაქი. 73. გათანაბრება, საერთო დონეზე გადაყვანა, ანუ რა? 74. ანჟელიკა ვარუმისათვის მეტად ახლობელი მომღერალი რუსული ესტრადიდან. 75. რა შეიძლება ეწოდოს კაცს, რომელიც ჭეშმარიტების ძებნას ამაოებად მიიჩნევს და თვლის, რომ ჭეშმარიტების პოვნა შეუძლებელია. 79. რა უნდა გააჩნდეს ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებს? 80. ფრანგული კლასიცისტური ლიტერატურის წარმომადგენელი. 81. პოეტთა გაერთიანება ზოგადად. 82. ასეთი სახელწოდების მთებიც არსებობს აფრიკაში, ისე კი რუკების კრებულს ჰქვია. 87. მუსიკალური ინსტრუმენტი. 88. ბილიარდის ერთ-ერთი სახესხვაობა. 89. კომუნიზმის ერთ-ერთი მამათაგანი. 90. სოფელი სიღნაღის რაიონში. 91. რაიმე დაავადების განვითარების უმაღლესი წერტილი. 96. ნერონის მასწავლებელი, ძველი რომაელი ფილოსოფოსი. 97. სოფელი, რომელზედაც გადიოდა საქართველო-რუსეთის შემაერთებელი სამხედრო გზა წარსულში. 98. საზოგადოებრივი მოვლენების ქრონოლოგიური აღნუსხვა. 99. ამ ბოლო დროს მეტად პოპულარული თამაში, კეგელბანდის ერთ-ერთი სახესხვაობა. 103. თბილისის ერთ-ერთი სახელგადარქმეული ქუჩა (ძველი სახელი). 104. იანუშ კორჩაკის ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი-მეფე. 105. რა ეწოდება (ძირითადად) პატარა ლექსებს? 110. რა შეიძლება მიიღოს მოკრივემ? 111. 80-იანი წლების ფრანგი ფეხბურთელი. 112. რა არის ნაგავი თავისი არსით? 113. მოყვითალო-მოყავისფრო ნაყოფის მქონე კურკოვანი მცენარე. 118. უტილიტარიზმის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ყველაფერს გამორჩენის მიზნით მოიაზრებს. 119. გერმანელი დრამატურგის, ლესინგის ერთ-ერთი სახელი. 120. ალექსანდრე ფლემინგის მიერ შექმნილი პრეპარატი. 124. ტბა იტალიის ალპებში. 125. რა ერქვა ყველაზე ცნობილ აზიელ კინორეჟისორს? 126. ბალტიისპირეთის ერთ-ერთი სახელმწიფოს დედაქალაქი. 127. აქ იმ სამხრეთ ამერიკელის გვარი ჩაწერეთ, რომელსაც ეკუთვნის სიტყვები – „მე უნდა ვემსახურო ჩემს ხალხს და არა ჩემს მთავრობას“. 128. სახელი კაცისა, რომელიც დასანახავად ვერ იტანდა კოოპერატივს. 133. აქ მცენარე ჩაწერეთ, რომლის ნაყოფითაც „გადაყვითლებულია“ თბილისი. 134. მექისის როლის შენსრულებელი ფილმში „მაია წყნეთელი“. 135. მდარე ლიტერატურული ნაწარმოების ერთ-ერთი ეპითეტი. 136. ქალაქი კრასნოდარის მხარეში. 140. მსხვილი სამრეწველო საწარმო. 141. რუსი საესტრადო მომღერალი და კინომსახიობი, მარკ.... 142. არის ასეთი თამაში ბურთით (გითამაშიათ ბატონო, ნამდვილად გითამაშიათ ბავშვობაში). 147. **იხილეთ ფოტო** და აქ ამ ქურუმის სახელი ჩაწერეთ. 148. ამაზონის წყლებში მობინადრე „სისხლისმსმელი“ არსება. 149. ცეცხლის ღვთაება ძველ სლავურ მითოლოგიაში. 150. ათოსის მსახური. 155. ნახევარკუნძული აზიის ტერიტორიაზე. 156. როგორი მეფე იყო არტური? 157. თეზსაჭერი მოწყობილობა. 161. რა ჰქვია ჩრდილო ამერიკის ზომიერი კლიმატური სარტყლის ვრცელ ველებს? 162. თანამედროვე ქართველი პოეტი. 163. რა ერქვა რუს კომპოზიტორს, მუსორგსკის? 164. არასასურველი დაავადებებისაგან თავდსაცავი სამედიცინო საშუალება. 165. რა ჰქვია ადრიანო ჩელენტანოს კინოპერსონაჟს ფილმში „ჭირვეულის მორჯულება“?. 166. საფოსტო მარკების შეგროვება. 167. XX საუკუნის ყველაზე „ცისფერი“ გამოგონება. 168. ყვავილი, რომელიც აგრერიგად უყვარდა ტიციან ტაბიძეს.



**შვეულად:** 1. სპორტის სახეობა, რომელსაც სახელი ერთმა ინგლისურმა ქალაქმა მისცა. 2. ქალაქი ურუგვაიში. 3. საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი. 5. ელექტრო ხელსაწყო. 6. საგაზეთო „ქმნილება“. 7. რისამე ჩასაწერი დავთარი. 8. ერთგვარი იაფფასიანი ქსოვილი. 10. მინის ჭურჭელი მედიკამენტებისათვის. 11. საგნის ან მოვლენის ძირითადი, არსებითი თვისება. 12. ცხოველებზე მზრუნავი ექიმი. 13. პოპულარული რუსული ქალთა ჟურნალი. 14. ერთ-ერთი გრამატიკული ტერმინი. 15. თანამედროვე ამერიკელი ზანგი მომღერალი ქალი. 16. ფეხბურთელ ჟორჟ ვეას სამშობლო. 20. ხორცის პროდუქტი. 21. მძაფრი სუნის მქონე მოყვითალო სითხე. 25. რა უნდა განაცხადო კუთვნებულის არ მოკუთვნებისას? 26. დიდი ბრიტანეთის ფულის ერთეულის გავრცელებული სახელი. 27. დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კომპანია კომპიუტერულ სფეროში. 31. ავთვისებიანი სიმსივნე. 32. ამ დაწესებულებაში ყველა ვყოფილვართ, ასეთი გვარი აქვს აგრეთვე ერთ იტალიელ კინორეჟისორს. 33. XX ს ბელორუსი მწერალი, ალეს.... 38. სხეულის რომელიმე ორგანოს კვდომის პროცესი. 39. 80-იან წლების თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი. 40. რიგი ევროპული ქვეყნების ფულის ერთეული. 41. ატლანტისოკეანისპირა ქალაქი კანადაში. 46. ციფრ „5“-თან ასოცირებული ცნობილი შენობა. 47. შეხედულება, კრედო... კიდევ? 48. ამერიკელი მფრინავი ქალი, რომელმაც პირველმა გადაუფრინა ატლანტის ოკეანეს ქალებს შორის, ამელია.... 49. რაიმეს დამადასტურებელი საბუთი. 54. იდუმალი ნიშან-თვისებებით აღჭურვილი ანუ როგორი? 55. პატარა ბინის აღსანიშნავი სიტყვა 56. მკვიდრი მოსახლე. 61. რა ჰქვია ანანდს, თანამედროვე ინდოელ მოჭადრაკეს? 62. ეს „ქალბატონი“ 1949 წელს დაიბადა და მას შემდეგ მთელს მსოფლიოში მოიკიდა ფეხი... აქ მისი სახელი ჩაწერეთ. 63. ღმერთის „სამშენებლო მასალა“. 64. ინფორმაციული ერთეული. 69. აშშ-ს შტატი. 70. გინახავთ ფილმი „მთელი ძალით“? აქ ამ ფილმში მოთამაშე მსახიობი ჩაწერეთ. 71. მოსკოვის „სპარტაკის“ ბრაზილიელი ლეგიონერი. 72. მოსკოვის ტელეანძა. 76. ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ერთ-ერთი პერსონაჟი. 77. ავღანეთის ომის მონაწილე ცნობილი ლიტერატურული ექიმი. 78. ფინური კლასიკური მუსიკის მამამთავარი. 83. ბილ კლინტონთან ყველაზე დაახლოებული მუსიკალური ინსტრუმენტი. 84. კუნძული ჩინეთსა და იაპონიას შორის. 85. ჯარის მოწინავე ფიგურა წარსულში. 86. გოეთეს ისტორიული დრამა. 92. განიანისა და ჟაკ ივ კუსტოს „ქმნილება“. 93. ერთ-ერთი კინოშერეკილი. 94. პატარა ჩიტი. 95. მიქელანჯელო ბუონაროტის მშობლიური ქალაქი. 100. კანადის ოქროს ციებ-ცხელებით ცნობილი რეგიონი. 101. ერთ-ერთი ლაღიძეთაგანი. 102. მთავარი პერსონაჟი ერიხ მარია რემარკის რომანისა „ერთი სიყვარულის ისტორია“ (ქართულ თარგმანში ასეა). 106. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი. 107. რა უნდა გადაბრუნდეს იმისათვის, რომ გზა გამოჩნდეს? 108. ამერიკელი მეზღაპრე, ავტორი ზურმუხტოვანი ქალაქისა და ჯადოქრის თემაზე შექმნილი გახმაურებული ზღაპრების სერიისა. 109. ფასიანი ქაღალდი, რომელსაც ვერ იტანდა ოსტაპ ბენდერი. 114. ხმის გამაძლიერებელი საშუალება. 115. რა ჰქვია ქუჩის ტელეფონს? 116. ცნობილი დანიელი კარიკატურისტი, ჰერლუფ.... 117. 60-იანი წლების მოსკოვის „სპარტაკის“ ბომბარდირი, ნიკიტა... 121. სადაური შეიძლება იყოს წყლული? 122. გამოუსვლელი და „გოიმი“ კაცი თანამედროვე ქართულ ჟარგონზე. 123. სავაჭრო სივრცის ნაწილი. 129. მწერების შემსწავლელი მეცნიერება. 130. ისტ. ოლქი დღევანდელი ირანის ტერიტორიაზე. 131. მიწაყრილი, რომელიც ჯარისკაცს იცავს ტყვიებისაგან. 132. XVIII საუკუნეში მოღვაწე შოტლანდიელი მათემატიკოსი. 137. შავი მკვრივი ნივთიერება, რომელიც ტექნიკაში ძირითადად დიელექტრიკად გამოიყენება. 138. ცენტრს მოშორებული რეგიონი. 139. მოსწავლის შესაფასებელი ერთ-ერთი ნიშანი. 143. მეძებარი ძაღლის ჯიში. 144. ლუჩანო პავაროტის და პლასიდო დომინგოს კოლეგა. 145. ერთ-ერთი რიცხვი 1-იანით და ბევრი ნულებით. 146. გამოსხივების სახესხვაობა. 151. თურქეთის დედაქალაქი. 152. ჰანს ქრისტიან ანდერსენის მშობლიური ქალაქი. 153. ოპტიკაში ფართოდ გამოყენებადი მინერალი. 154. პოეტური ტრადიციებით ცნობილი ქალაქი ირანში. 158. მდინარე ბერლინში. 159. ბრინჯის არაყი. 160. პიპინია ერისთავის ძაღლი.

**შეადგინა ვახო ელერდაშვილმა**



# ფანტაზიორი

რუბრიკას უძღვება
ვახტანგ ელერდაშვილი
(პასუხები მე-14 გვერდზე)

***კითხვა №1***

მათემატიკური ამოცანა:

თქვენ დგახართ უზარმაზარი ნაპრალის წინ, რომლის სიღრმე 40 მეტრია და სიგანე 60 მეტრი. თქვენ გაქვთ გაქვთ განუსაზღვრელი რაოდენობის თოკის კიბე, რომელთაგან თითოეული 19 მეტრი სიგრძისაა და მათი საფეხურები ყოველი 30 სანტიმეტრის გამოტოვებითაა გაკეთებული. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამ კიბეებს ვერაფერზე დაამაგრებ...

**როგორ უნდა გადახვიდეთ ნაპრალის მეორე მხარეს თოკის კიბეების საშუალებით? (10 ქულა).**

***კითხვა №2***

რომანი „ოცდაათი წლის ქალი" ალბათ ბევრს არ წაუკითხავს...

**...მაგრამ მაინც... ვინაა მისი ავტორი? (7 ქულა).**

***კითხვა №3***

ამერიკაში თითქმის ყოველ დღეზეა გათვლილი მრავალი არაოფიციალური დღესასწაული; ასე მაგალითად, არსებობს სიმსუქნესთან ბრძოლის დღე, ჰამბურგერის დღე, კიბორჩხალების დღე და ა.შ.

**მეცნიერების სფეროს რომელ წარმომადგენელთათვისაა განკუთვნილი ის დღე, რომელიც მე-3 თვის მე-14 დღეს აღინიშნება? (12 ქულა).**

***კითხვა №4***

ამერიკაში პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ძალისხმევით შეიქმნა სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზების სისტემა. ამ გზებს ერთი საინტერესო თავისებურება ახასიათებს - გზის ყოველი ხუთმილიანი მონაკვეთის შემდეგ, მიუხედავად რელიეფისა, არის 1 მილის სიგრძის აბსოლუტურად სწორი გზა...

გაიხსენეთ ელდარ რიაზანოვის ფილმში მომხდარი ერთი არასტანდარტული სიტუაცია და

**დაასახელეთ მიზანი, რისთვისაცაა გათვლილი 1 მილის სიგრძის მქონე აბსოლუტურად სწორი გზა აშშ-ში (7 ქულა).**

***კითხვა №5***

80-იან წლებში ასეთი ანეკდოტი არსებობდა:

მესამე მსოფლიო ომის შემდეგ განადგურებულია ყველაფერი ცოცხალი, რაც დედამიწაზე არსებობდა, მაგრამ რაღაც სასწაულის ძალით ცოცხლები დარჩნენ ბრეჟნევი და რეიგანი...

და აი, რეიგანი ხელში იღებს რკინის კეტს, უახლოვდება ბრეჟნევს, სურს თავში ჩაარტყას მას, მაგრამ... თავად რეიგანს ხვდება თავში რკინის კეტი...

**ვინ ჩაარტყა რეიგანს ეს რკინის კეტი (7 ქულა)?**

***კითხვა №6***

1970 წელს მოსკოვის სვეტებიან დარბაზში გაიმართა ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მუშაკთა საკავშირო თათბირი. მას შემდეგ, რაც კრების თავმჯდომარემ სიტყვა მისცა ერთ-ერთ მომხსენებელს, დარბაზში ისეთი სიცილი ატყდა, რომ მომხსენებელმა ერთი სიტყვის წარმოთქმაც ვერ შეძლო...

**რა თანამდებობის იყო ის საბრალო მომხსენებელი? (6 ქულა).**

***კითხვა №7***

ერთხელ ალა პუგაჩოვამ ყოფილი ლენინგრადის ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში მოწყობისას სტუმრობის მიზნის გრაფაში ჩაწერა სიტყვა, რომელსაც დღეს საქართველოში თითქმის იმავე დანიშნულებით წაღმა-უკუღმა ხმარობენ, არაბები კი ამ სიტყვას ნასადილევს დალეულ ყავას უკავშირებდნენ...

**რა სიტყვაა ეს? (5 ქულა).**

***კითხვა №8***

პარადოქსების მოყვარულმა ბერნარდ შოუმ ერთხელ თქვა:

„გიჟები არიან ყველგან, თვით...

**სადაც კი? (5 ქულა).**

***კითხვა №9***

იმავე ბერნარდ შოუს აზრით, მთავარი უბედურება ზოგიერთი მწერლისა იმაში მდგომარეობს, რომ ორი რამ მათს ნაწარმოებებში ძალზედ შორსაა ერთმანეთისაგან...

**რას გულისხმობდა ბერნარდ შოუ ამ ორ რამეში? (5 ქულა).**

***კითხვა №10***

ჩვენი წ. აღ. 105 წელს ჩინელმა დიდგვაროვანმა ცაი ლუნმა აიღო მეთევზის ბადე, ძველი სამოსი, აბრეშუმის ხის რტოები და...

**რა გააკეთა ყოველივე ამისაგან? (4 ქულა).**

***კითხვა №11***

მარკ ტვენს შედგენილი ჰქონდა სია იმ 27 სუბიექტისა, რაც ბინაში ხანძრის გაჩენისას უნდა გადაარჩინოს ადამიანმა. ამ სიაში პირველ ადგილზე პატარძალია, ბოლოსწინა ადგილზეა ავეჯი...

**რა სიტყვა წერია მარკ ტვენი სიის უკანასკნელ, 27-ე ხაზზე? (6 ქულა).**

***კითხვა №12***

როცა ამერიკელმა რეჟისორმა მუსტაფა აქადმა გადაწყვიტა გადაეღო ფილმი ღვთის მოციქულ მუჰამედზე, მას მუქარით დაესხნენ თავს მუსლიმანი ფანატიკოსები, რადგან ისლამი კრძალავს მუჰამედის ვიზუალურ ასახვას. სექტა ხანაფიტების „ბოევიკებმა" ვაშინგტონში ასიოდე მძევალიც კი აიყვანეს იმ მოთხოვნით, რომ რეჟისორს გადაეფიქრებინა თავისი ჩანაფიქრი.

მაგრამ გონებაახვილმა აქადმა მოიგონა ერთი ხერხი, რაც ყველას აწყობდა, რის წყალობითაც ფილმი „მუჰამედი - ღვთის მოციქული" ეკრანებზე მაინც გამოვიდა.

**მაინც რა მოიგონა რეჟისორმა? (12 ქულა).**

***ცნობისმოყვარეთათვის***

## გარდაიცვალა პირველი „პაპარაცი"

რომში გარდაიცვალა ფოტოგრაფი, რომელმაც საფუძველი დაუდო დღეს მეტად საძულველ „პაპარაცის" პროფესიას; ეს კაცი გახლდათ ტაცო სეკიარელი.

50-იანი წლების ბოლოს მან გადაწყვიტა „ვარსკვლავთა" ცხოვრების მიმალული ფაქტები საკუთარი შემოსავლის წყაროდ ექცია და მინიატურული ფოტოკამერითა და მოტოციკლეტით შეიარაღებულმა ნადირობა დაიწყო ცნობილ ადამიანებზე. ერთ-ერთი პირველი ფოტო, რაზედაც სეკიარელიმ სიმთვრალით გონებადაბინდული ავა გარდნერის ასახვა მოახერხა, მთელ მსოფლიოს მოედო და ავტორს იმდენად მოუპოვა სახელი, რომ ფედერიკო ფელინიმ იგი ფილმ „ტკბილი ცხოვრების" გადაღებებზე მიიწვია და ფოტოგრაფის, გვარად პაპარაცოს როლიც კი ათამაშა, აღნიშნული გვარის პიროვნება კი ფელინის თანაკლასელი გახლდათ, რომელიც დიდი თავხედობით გამოირჩეოდა და ამიტომაც შეარჩია რეჟისორმა სიმბოლურად ეს გვარი ცნობისმოყვარე ფოტოგრაფისათვის, რაც შემდეგ განზოგადდა.

ამ ფილმის დიდი წარმატების შემდეგ ტაცო სეკიარელი გახდა პირადი ფოტოგრაფი ისეთი „ვარსკვლავებისა", როგორებიც იყვნენ თავად ფედერიკო ფელინი, მარჩელო მასტროიანი, სოფი ლორენი და სხვები. ასე რომ, ცხოვრების დარჩენილი წლები საკუთარი პროფესიის ღირსეულ სამსახურში გაატარა. 1988 წელს სეკიარელიმ განაცხადა, რომ მას ძალზედ დიდი რაოდენობის ფოტოები გააჩნია, სადაც ვარსკვლავთა პიკანტური ცხოვრებაა ასახული, მაგრამ მათს გამოქვეყნებას არ აპირებს, რადგან ისინი ძალზედ ინტიმური ხასიათისაა...

...თუმცა კი ის არავინ იცის, „პაპარაცების მამის" მემკვიდრეები გამოაქვეყნებენ თუ არა ამ ფოტოებს...

ეს ხომ დიდ ფულთანაა დაკავშირებული!

### 28 ივლისი

პერუს ეროვნული დღე

**ამ დღეს დაიბადნენ:**

**1804** წ - *ლუდვიგ ფოიერბახი* - გერმანელი ფილოსოფოსი. **1824** წ - *ალექსანდრე დიუმა-შვილი* - ფრანგი მწერალი და დრამატურგი. **1923** წ - *ვლადიმერ ბასოვი* - რუსი მსახიობი. **1926** წ - *ინნა მაკაროვა* - რუსი მსახიობი. **1929** წ - *ჟაკლინ კენედი-ონასისი* - პრეზიდენტ კენედის ქვრივი; შემდგომ ბერძენი მაგნატის, არისტოტელე ონასისის მეუღლე. **1951** წ - *ნატალია ბელოხვოსტიკოვა* - რუსი მსახიობი.

**მოვლენები:**

**2348** წ ჩვ. წ. აღ.-მდე - ნოე პირველად ხსნის კიდობნის სარკმელს და აგზავნის პირველ მტრედს ხმელეთის საძიებლად. **1794** წ - გილიოტინაზე თავებს ჰკვეთენ რობესპიერს, სენ-ჟიუსტს და კიდევ 20 მათს თანამზრახველს. **1851** წ - მზის სრულ დაბნელებას პირველად ასახავს ფოტოგრაფი დაგეროტიპზე. **1908** წ - ინგლისური ხომალიდი Ying King იღუპება ქარიშხალში ჰონგკონგის ნაპირებთან; დაღუპულია 300-მდე ადამიანი. **1928** წ - ზაფხულის IX ოლიმპიური თამაშების გახსნა ამსტერდამში. **1951** წ - უოლტ დისნეი უშვებს ფილმს „ალისა საოცრებათა ქვეყანაში". **1976** წ - მიწისძვრა ჩინეთის ქალაქ ტანშანში; დაღუპულია 650 ათასი ადამიანი. **1980** წ - ვლადიმერ ვისოცკის დაკრძალვას ასიათასობით ადამიანი ესწრება. **1984** წ - ზაფხულის XXIII ოლიმპიური თამაშების გახსნა ლოს-ანჯელესში. **1986** წ - იწყება ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა. **1990** წ - ალბერტო ფუჯიმორო პერუს პრეზიდენტი ხდება.

**ამ დღეს წავიდნენ:**

**1540** წ - *თომას კრომველი* - მეფე ჰენრიხ VIII-ეს კანცლერი, სიკვდილით დასაჯეს. **1655** წ - *სირანო დე ბერჟერაკი* - ფრანგი დრამატურგი. **1741** წ - *ანტონი ვივალდი* - იტალიელი კომპოზიტორი. **1750** წ - *იოჰან სებასტიან ბახი* - გერმანელი კომპოზიტორი. **1794** წ - *მაქსიმილიენ რობესპიერი* - საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე. **1794** წ - *ლუი ანტუან სენ-ჟიუსტი* - საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე. **1960** წ - *ეტელ ლილიან ვოინიჩი* - მწერალი, ავტორი რომანისა „კრაზანა".

### 29 ივლისი

**ამ დღეს დაიბადნენ:**

**1817** წ - *ივანე (ოვანეს) აივაზოვსკი* - მხატვარი მარინისტი. მთელი ცხოვრების მანძილზე 6000 ნახატი შექმნა. **1883** წ - *ბენიტო მუსოლინი* - პირველი იტალიელი ფაშისტი -დიქტატორი. უფრო ცნობილია, როგორც „დუჩე" - «Duce» (ლიდერი) ჩამოახრჩეს 1945 წლის აპრილში. **1912** წ - *რობერტ რიჩი* - ფირმა „პარფიუმ ნინა რიჩის" დამაარსებელი. **1925** წ - *მიკის თეოდორაკისი* - ბერძენი კომპოზიტორი. **1954** წ - *იგორ კრუტოი* - რუსი კო,პოზიტორი.

**მოვლენები:**

**1014** წ - ბელასიცასთან ბრძოლაში ბიზანტიის იმოერატორი ბასილი II ამარცხებს ბულგარელთა ლაშქარს და 14 000 ტყვე ბულგარელს თვალებს თხრის. **1899** წ - ჰააგაში მუშაობას ამთავრებს 1-ლი სამშვიდობო კონფერენცია. **1907** წ - სერ რობერტ ბადენპაუელი დიდ ბრიტანეთში აარსებს ბოისკაუტთა ორგანიზაციას. **1923** წ - ალბერტ აინშტაინი ბერლინში წარმოთქვამს პაციფისტური პათოსით განმსჭვალულ სიტყვას. **1943** წ - ჰამბურგიდან გარბის 1 მილიონი მცხოვრები. **1947** წ - გაზის გაჟონვის შედეგად ვირჯინიის შტატის ქალაქ Harrisonburg-ის კოსმეტიკურ კაბინეტში ხდება აფეთქება და იღუპება 10 ქალი. **1948** წ - მეფე გეორგ VI ლოდონში ხსნის XIV ოლიმპიურ თამაშებს. **1958** წ - აშშ-ში ყალიბდება აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო (ნასა). **1981** წ - პრინც ჩარლზისა და დიანა სპენსერის ქორწილი ლონდონის კათედრალურ ტაძარში. ეს ქორწილი ინგლისის ხაზინას 1 მილიარდი დოლარი დაუჯდა. **1994**წ - ეკრანებზე გამოდის ფილმი „ნიღაბი" ჯიმ კერის მონაწილეობით. **1996** წ - კარლ ლუისი ატლანტაში იმარჯვებს სიგრძეზე ხტომაში და ხდება მეხუთე სპორტსმენი ოლმპიადების ისტორიაში, ვინც ზედიზედ ოთხი ოლიმპიადა მოიგო.

**ამ დღეს წავიდნენ:**

**1099** წ - *ურბან II* - რომის პაპი 1088 წლიდან. **1507** წ - *მარტინ ბეხაიმი* - გერმანელი გეოგრაფი, რომელმაც 1492 წელს პირველი გლობუსი შექმნა. **1856** წ - *რობერტ შუმანი* - გერმანელი კომპოზიტორი. **1890** წ - *ვინსენტ ვან გოგი* - ჰოლანდიელი ფერმწერი. **1883** წ - *ლუის ბიუნუელი* - თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ესპანელი კინორეჟისორი (დაიბადა 1900 წელს).

(გაგრძელება მე-14-16 გვერდებზე)

შეადგინა ვალერი ჭიჭინაძემ

1. საქონლის საკვები წყალმცენარე, „წყლის კომბოსტო“. 2. ლათ. ამერიკის ერთ-ერთი ქვეყნის მცხოვრები. 3. ტელე-სინე-..... 4. სათეთრებელი თიხა. 5. ყველასათვის ნაცნობი ქალბატონი გვასალია. 6. შორსმხედველობა ანუ რა? 7. მირაჟის სახესხვაობა. 8. ვაზის ყვავილედი. 9. ძველ რომში ღატაკთა წრეების წარმომადგენელი. 10. ერთ-ერთი ცნობილი მეკარე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდისა. 11. შესანიშნავი მომღერალი, რომელიც ასრულებს სიმღერებს ფილმში „ყვავილი თოვლზე“. 12. უხეირო, არაკეთილსინდისიერი მუშაობა (ჟარგ.) 13. ბაღროს მტყორცნელი ანუ ვინ? 14. ძველ საფრანგეთში მეფისადმი მიმართვა. 15. ასანთის კოლოფების ეტიკეტების შემგროვებელი. 16. ქართული თეატრისა და კინოს პოპულარული მსახიობი მამაკაცი. 17. „შთამომავალი“ ფლორის სამყაროში. 18. ხილი, რომელმაც ორჯერ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა კაცობრიობის ისტორიაში. 19. მრავალწლოვანი ბალახოვანი შხამიანი მცენარე. 20. სპილენძის ჭრელი მადანი. 21. ფრანგი კინოკომიკოსი მამაკაცი. 22. თავაზინი მიმართვის ფორმა გერმანელთათვის. 23. საფლობი ტალახი. 24. დაბალა ხმით, გაურკვეველი ლაპარაკი საკუთარი თავისთვის. 26. პატარა საწნახელი. 27. სისუფთავის დაცვისათვის გატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა. 28. ქუთაისის აეროპორტი. 29. დამამთავრებელი ანუ როგორი? 30. ფრანგული ჯიშის ვაშლის ხე. 31. ხის ჩასაბერი მუსიკალური საკრავი. 32. ერთგვარი კონვეირი, რომელსაც გადაზიდვასთან ერთად ფხვიერი თუ თხევადი ტვირთის არევაც ევალება. 33. ქართული თეატრის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რეჟისორი ქალბატონი. 34. ჩვენი მდინარე. 35. ძველეგვიპტელთა ღვთაება, ქალაქ თებეს მფარველი. 36. სუსტი, უღონო და უსასოო კვნესა. 37. ღრიანკალი ანუ რა? 38. ქიმიური ელემენტი. 39. გალაკტიონის ინსტრუმენტი ერთ ძალზედ ცნობილ ლექსში. 40. ოდის აივანი, ასე ვთქვათ, ვერანდა. 41. სქესობრივი თავშეკავება. 42. მცირე ხნის წინ, ახლახანს ანუ? 43. ძილისპირული. 44. რომაული ეპოქის ერთი ცნობილი ბერძენი მწერლის თხზულება. 45. სინათლის და სიკეთის ღვთაება ძველ სპარსულ რელიგიაში. 46. საშენი მასალა. 47. მოხეტიალე მომლოცველი. 48. სიძველის მანიშნებელი რთული სიტყვების წინსართი. 49. სპილენძის ალმადანი. 50. გამოცემის ფორმატი, რაც საბეჭდი თაბახის ნახევარს უდრის. 51. როგორია ის, რაშიც ზნეობრივი ნორმები უგულებელყოფილია? 52. ქართული ანბანის ასო. 53. გაჯავრებული, უკმაყოფილო კაცის მეტყველების სახესხვაობა. 54. ევროპის ერთ-ერთი სახელმწიფოს ბინადარი. 55. საფრანგეთში გავრცელებული ვაშლის ღვინო. 56. ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავი. 57. ერთგვარი ნესვი... იტალიიდან. 58. ძველებური ოთხადგილიანი ეტლი. 59. ორგანული ნივთიერება, ერთატომიანი სპირტი, თავს იჩენს ცხოველურ ორგანიზმებში. 60. თავაზინი მიმართვის ფორმა იაპონელთათვის. 61. მენჯის წინა ძვლების შეერთების ადგილი. 62. სიამოვნების განცდის დღეს ერთობ „პოპულარული“ სახესხვაობა. 63. ბავშვის საამოდ მოსასმენი ტიტინ-ლაპარაკი. 64. ჰაერში ლივლივი, ირაოს კეთება. 65. მხატვრის სამუშაო ინვენტარი. 66. მთამსვლელი ანუ ვინ? 67. იგივე თიხა, 68. ყურის ანთება. 69. შეჭირვებული ანუ? 70. ერთგვარი ზედა სამოსი. 71. გარეული ფრინველი. 72. ნაპირებიდან თანაბარი მანძილებით დაშორებული. 73. საადამიანო კითხვითი სიტყვა. 74. ჩვენი კონიაკი. 75. ორმაგი რეგისტრი ორღანში. 76. სიტყვის ფუძეში ხმოვნის დაკარგვა.





# აფორიზმების ანთოლოგია

**586**. ქალი გაპატიებს ყველაფერს, მაგრამ ხშირ-ხშირად გაგახსენებს ნაპატიებს.

**სიმონა დე ბოვუარი**

**587**. ქალი გაპატიებს მხოლოდ მაშინ როცა თავადაა დამნაშავე.

**არსენ იუსე**

**588**. შეცდომა ადამიანის თვისებაა, პატიება – ღმერთების.

**ალექსანდრე პოპი**

**589**. ქალმა თუ აპატია მამაკაცს, მან აღარ უნდა შეახსენოს ჩადენილი ცოდვები ყოველ საუზმემზე.

**მარლენ დიტრიხი**

**590**. პატიება უფრო ადვილია მტრისა, ვიდრე მეგობრისა.

**უილიამ ბლეიკი**

**591**. აპატიეთ თქვენს მტრებს... ეს საუკეთესო საშუალებაა მათი მდგომარეობიდან გამოყვანისა.

**ოსკარ უაილდი**

**592**. აპატიე შენს ძველ მტრებს, შენ ხომ უკვე ახლებიც გყავს.

**უცნობი ავტორი**

**593**. არ შეიძლება აპატიო მას, ვისაც თავად არ შეუძლია პატიება.

**ფრიდრიხ ნიცშე**

**594**. ძალზედ ადვილია სხვებს აპატიო შეცდომები და ბევრად უფრო ძნელია აპატიო მათ ის, რომ ისინი შენი შეცდომების მომსწრენი აღმოჩნდნენ.

**ჯესამინ უესტი**

**595**. ბრიყვი არაფერს გპატიობს და არაფერს ივიწყებს; ალალი გპატიობს და ივიწყებს; ჭკვიანი გპატიობს, მაგრამ არ ივიწყებს.

**თომას სასი**



**596**. აპატიეთ თქვენს მტრებს, მაგრამ არ დიავიწყოთ მათი სახელები.

**ჯონ კენედი**

**597**. ხალხი გაპატიებთ ყველაფერს, რაც მათ არ ეხებათ.

**უცნობი ავტორი**

**598**. მე მაპატიეს ყველაფერი, მაგრამ არაფრით დამეხმარნენ.

**სენეკა**

**599**. უპატიებელია მხოლოდ მათი შეცდომები, ვინც აღარ გვიყვარს.

**მადლენ დე სკიუდერი**

**600**. ღმერთი მე მაპატიებს... ეს მისი სპეციალობაა.

**ჰაინრიხ ჰაინე სიკვდილის წინ**

**601**. მტრებს უფრო მეტი ადგილი აქვთ დაკავებული ჩვენს ფიქრებში, ვიდრე მეგობრებს - ჩვენს გულებში.

**ალფრედ ბუქარი**

**602**. ნამდვილი მტერი არასოდეს მიგატოვებს.

**სტანისლავ ეჟი ლეცი**

**603**. მე პირადად ხშირად ვუყვები ჩემს გაჭირვებებს მტრებს, რადგან ისინი ყველაზე მეტი ყურადღებით მისმენენ.

**რობერტ ორბენი**

**604**. არ შეიძლება მტერს ზიზღით უყურებდე; ხომ შეიძლება მისი შეჭმა მოგიხდეს?!

**სტანისლავ ეჟი ლეცი**

**???**. აპატიეთ გაზეთ „ფანტაზიას" შეცდომები...

**ალექსანდრე ელერდაშვილი**



